№ 80. 14 აპრილი, შაბათი. 1866—1884 14 აპრილი, შაბათი. № 80

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაჭაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ, 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

კნეინა თამარ დავითის ასული თარხან-მოურავისა გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას მეუღლისას თვისას თავადის ლუკა თარხან-მოურავისას, სთხოვს მათ მობრძანდნენ განსასვენებლად გვამისა მისისა 15 აპრილს, დილის 10 საათზე, ს. ახალქალაქში. (2—2)

10 ამა აპრილს გარდაიცვალა თბილისის მოქალაქე, ბაყალი ნიკოლოოზ სააკის-ძე ოდანესოვი. განსვენებულს გაასვენებენ (ავლაბარი, საკუთარი სახლი) ავლაბრის ეჩმიაძინის ეკლესიაში, შაბათს, 14 აპრილს, დილის ცხრა საათზე. (2—2)

არცრუნის თეატრი

ხუთშაბათისთვის დანიშნული კონცერტი გადაიდვა.

კვირისთვის

აპრილის ხუთმეტისთვის.

სხვათა შორის ამ საღამოზედ თბილისში პირველად წაიკითხავს ბ. მიქელაძე

გურულს სცენებს.

ცხოველი სურათები

რომლისთვისაც მომზადებულია ახალი დეკორაცია და ახალი ტანისამოსი.

(2—1)

## ისტორიული ჟურნალი, თუ კრებული საისტორიო მასალებისა?

თბილისი, 14 აპრილს.

საუკეთესო ნიშანი ხალხის წინ ფეხის წადგმისა, წარმატებისა მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როდესაც აღიძრება სურვილი წარსულის შეგნებისა და შეთვისებისა არა იმიტომ, რომ ხალხმა მხოლოდ იმის კვალზედ გაიაროს, არამედ იმიტომ, რომ კარგი მაგალითები ამოიკრიფოს წარსულიდამ, მომავალის პროგრამა უფრო გამოირკვიოს და შეგნებულად განვლოს გზა ცხოვრებისა.

სამწუხაროდ, ჩვენი ისტორია ჯერ ჯერობით თითქმის მხოლოდ მეფეთა გენეალოგიას წარმოადგენს: «ფარსმან შვა საურმაგ, საურმაგ შვა ბაგრატ, ბაგრატ შვა დავით და ძმანი მისნი»—ი რას ამოიკითხავთ უფრო ხშირად «ქართლის ცხოვრების» ფურცლებზედ; მაგრამ როგორ სცხოვრებდა საქართველო, რა დამოკიდებულება იყო სხვა-და-სხვა წოდებათა შორის, როგორს განათლების ხარისხზედ იდგა ჩვენი ქვეყანა მაშინ, როდესაც საურმაგისა და დავითის დროის შორის ბაგრატ იშობებოდა, ამაზედ «ქართლის ცხოვრება» თითქმის არას ამბობს და ბევრი რამ კი შეეძლო ეთქვა, თუ ჩვენი მეისტორიენი რიგიანად გამოიყენებდენ იმ მასალას, რომელიც უხვად არის გაბნეული სხვა-და-სხვა არხივებში და ისტორიულ წერილებში. იმ დრომდე კი თითქმის ყოველი ისტორიულ წერილს, რომელიც მოინდომებს რაიმე საზოგადო ისტორიული საკითხავის გამორკვევას, ნება-უნებურად ან უფერულობა დაეტყობა, ან უსაფუძვლობა. მხოლოდ გარკვეულ მასალაზედ დამყარებულს ისტორიულს შრომას ექნება გავლენა საზოგადოებაზედაც და ჩვენს ლიტერატურაზედაც.

დღემდის, სამწუხაროდ, ამ ფრიად მძიმე საგანზედ არავინა ზრუნავს. ათასში ერთხელ თუ შეხვდებით ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში რაიმე ისტორიულ საბუთს, სიგელს, ანუ წერილს, თორემ მათს შემუშავებაზედ, გამორკვევაზედ,—ესრედ ვსთქვათ—დასისტემებაზედ თითქმის არავინ ჰფიქრობს. ზანა არა, გვყვანან იმისთანა პირნი, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ ამ საქმის ხელის მოკიდება და რიგიანს საფუძველზედ დაყენებაც, გვყვანან იმისთანანიც, (სამწუხაროდ მხოლოდ ერთი და ორი), რომელთაც მეცნიერების დრომა მაღლა უჭირავთ და თვით ევროპიულ მეცნიერთაგანაც პატივისცემით იხსენიებიან, მაგრამ ამათ შემწე და დამხმარებელი ეჭირვებათ, ურომლოდაც იგინი უჯარო და უიარაღო მთავარ-სარდალს ემსგავსებიან.

ამ საქმის განხორციელებისა და წინ წაყვანისათვის საჭიროა, რომ ასრულდეს ის აზრი, რომელიც ზოგიერთა პირებს განუძრახავთ და რომლის შესრულებაზედაც დამოკიდებულია ჯერ-ჯერობით ჩვენის ისტორიის ბედ-იღბალი,—ესე იგი დაარსდეს საისტორიო საზოგადოება თავის ჟურნალით ან კრებულით, რომელშიაც უმთავრესად იქნებიან მოქცეულნი ჩვენის ისტორიისათვის საჭირო მასალები და წერილები. ამ ჟურნალის ხასიათზედ და თითონ ისტორიული საზოგადოების დაწესებულებაზედ ხვალ მოვილაპარაკებთ.

«დროების» ფელეტონი, 14 აპრილი.

## მოკლე ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე.

(დასასრული*).

ეს ასე იყო ამ საუკუნის დასაწყისამდე. მას აქეთ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ბერძნის ბერები გამხნევდენ და წათამამდენ. იმათ თავიანთ ნებით დაიპყრეს ივერიის მონასტერი საკუთრად და ქართველთ ბერებს კი მისცეს მხოლოდ ის ეკლესია, რომელიც ააშენა აშოთან მუხრან-ბატონმა ივერიის ღვთის-მშობლის ხატისათვის. მძლავრმა ბერძნებმა მაშინვე გააუქმეს მონასტრის ზოგადი ცხოვრების წესდებაცა და მონასტერი შტატის მონასტრად დააწესეს. ამის შემდეგ მის საქმეების მმართველად აღირჩიეს თავიანთ შორის ბერნი, რომელთაც უწოდეს სახელად «ეპიტროპი». ისინი ხან სამნი იყვნენ, ხან ორნი. ამ ნაირ გამგებლების ხელშია დღესაც მონასტრის შემოსავალ-გასავალი და არავის ნებას არ აძლევენ რევიზია უყოს მათს მოქმედებას.

ხსენებულს პატარა ეკლესიაში შეხიზნულნი ბერნი—ქართველნი—სცხოვრობდენ ივერიის მონასტრის შემოსავლით, რომელსაც ბერძნის ბერები აძლევდენ, როგორც სამოწყალოს. ბერძნის ბერებს ესე ყოველივე მძლავრობით ეჭირათ და არა სიმართლით. ქართველთ, როგორც სულიერ მამათ, არა სცალოდათ ქიშპობისათვის: ისინი გულ-მოდგინედ ასრულებდენ მხოლოდ ქრისტე ღმერთის მცნებას, რომლისათვისაც ბერობა შემოსილი ჰქონდათ და თავი შეწირული. არამც-თუ არავითარ მტრობას არ უწევდენ ბერძნებს, არამედ კიდევაც შველოდენ იმათ. მაგალითად, **1821** წელს ქართველმა ბერებმა დაიცვეს ივერიის მონასტერი თათართა მიერ აოხრებისაგან. როცა საბერძნეთი ებრძოდა ოსმალეთს პოლიტიკურის თავისუფლების მოსაპოებლად, მაშინ სტამბოლის ბრძანებით მოადგა ათონის მთას ჯარებით ლაბუტ ფაშა. ეს კაცი იყო ჩამომავლობით ქართველი. მოადგა თუ არა იგი ათონის მთას, ბერძნის ბერები მაშინვე შეცვივდენ ივერიის მონასტრის სალაროში, მოიტაცეს მონასტრის სიმდიდრე, შეგროვილი ქართველთაგან რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში და გემებით წაიღეს მისი ოქრო და ვერცხლი. მათ მიერ გაუცარცვავი დარჩა მხოლოდ ბიბლიოთეკა, რომელშიაც მარტო სასულიერო შინაარსით, როგორც ამბობს პეტერბურღის უნივერსიტეტის პროფესორად ნამყოფი ბ. ჩუბინოვი, არის **300** ეგზემპლიარი. ამას გარდა, არიან იქ თხზულებანი: ისტორიულნი, არხეოლოგიურნი, ასტრონომიულნი და მრავალნი სხვა-და-სხვა შინაარსით. აქვე არიან შენახულნი ის სიგელებიცა, რომლებითაც არის დამტკიცებული ქართველთათვის საბერძნეთის იმპერატორებისა და ქართველთ მეფეთაგან მონასტერნი და მამულები. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს სიგელნი ახლა ისევ არსებობდენ. ამ ჟამად ბერძნის ბერები ისრეთის გულ-დაჯერებით ამტკიცებენ—ივერიის მონასტერი ჩვენი საკუთრება ყოფილა ძველის-ძველადგანვე და კიდევაც არისო,—რომ საფიქრებელია მათი დაკარგვა ანუ დამალვა.

ლაბუტ-ფაშისაგან შეშინებულმა ბერძნის ბერებმა რომ დასტოვეს ათონის მთა და გაიქცნენ იქიდგან სიმდიდრით დატვირთული გემებით, მაშინ ათონის მთაზე დარჩნენ ბერძენთაგან მხოლოდ ისინი, რომელნიც უძლურნი, მოხუცებულნი და ღარიბნი იყვნენ; ქართველთაგანმა კი არც ერთმა ფეხი არ მოიცვალა მონასტრიდგან. სახელოვანნი ქართველთ ბერნი, ილარიონი და ბენედიკტე წარდგნენ წინაშე ფაშისა, რომელიც ჩამომავლობით ქართველი იყო და სთხოვეს დიდის ვედრებით არც ივერიის მონასტრისათვის ევნო რამე და არც იქ დარჩენილთა ბერძნების ბერთათვის. ფაშამ, როგორც ქართველმა, პატივი სცა ქართველთ ბერებს, არ შეეხო არც ათონის მთას, არც მის მამა-პაპათაგან აშენებულს ივერიის მონასტერს, არც ბერებს მიაყენა შეურაცყოფა.

ამ სახით ქართველი ბერები დაეპატრონენ ივერიის მონასტერს მაშინაც, როცა ბერძნის ბერებმა **1821** წელს იგი დასტოვეს.

ეს ახალი სამსახური ქართველი ბერებისა ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ბერძნის ბერებს, როდესაც ათონის მთაზე მოვიდა ქართველი ბერი ბესარიონი, ღვიძლი ძმა აწინდელის იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა. ამ დროს ხსენებული ბენედიქტე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. იგი იყო დიდად ღვთის-მოყვარე და ბერული მოღვაწეობის კაცი; სცხოვრებდა ივერიის მონასტერში და ბერძენთ მისი დიდი მორიდება ჰქონდათ. ის იყო ქართველ ბერების მოთავედ და მოძღვართ მოძღვარი ივერიის მონასტრისა. ვიდრე ცოცხალი იყო, ბერძნის ბერები მის შიშით ქართველთ პატივსა სცემდენ, რადგან ეშინოდათ ოსმალეთის სამოქალაქო მთავრობასთან არ იჩივლოს და ივე-

*) იხ. «დროება». № 77.

## შინაური ქრონიკა

≈≈ წელიწად-ნახევარია, რაც ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს ფინანსთა მინისტრმა აღუკრძალა სესხის გაცემა. შარშანდელ კრებაზედ ამოირჩიეს ამ საქმისათვის ცალკე კომისიაც, გამგეობამ თავის წარმომადგენელიც გაგზავნა პეტერბურგში ამ ნების გამოსათხოვნელად, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმეს არაფერი შველებია. ამ ჟამად ამავე საქმის გულისათვის არიან ჩამოსულნი თბილისში რამდენიმე წევრნი ხსენებული კომისიისა და უნდა სთხოვონ მთავარ-მმართებელს, რომ მან იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, რათა ფინანსთა მინისტრმა კვალად მისცეს ნება ქუთაისის ბანკს სესხის გაცემისა. უამნებადაურთავად ქუთაისის მცხოვრებნი ძალიან შეწუხებულნი არიან ეკონომიურადაო. ამ საქმის შესახებ კომისიის წევრნი ვრცელი მოხსენების მიცემასაც აპირობენ მთავარ-მმართებლისადმი.

≈≈ ერთი სარწმუნო პირი გვატყობინებს, რომ მას უნახავს თ. მამუკა ორბელიანისაგან ხელ-მოწერილი ბარათი, მიცემული იაკინთე დიმიტრის-ძის ალექსი-მესხიევისათვის შემდეგის შინაარსისა:

«1847 წელსა ოკტომბრის 23-ს დღესა მე ქვემორე ამისა ხელის-მომწერმან მივიღე იაკინთე დიმიტრის ძის ალექსი—მესხიევისაგან ოც-დაათი თუმანი თეთრი ფული შეწევნილი სხვა-და-სხვა გვამთაგან გარდაცვალებულის ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათოვის ჰამიატნიკის აღსაშენებლად, პოლკოვნიკი კნიაზი მაკარ ჯამბაკურიან-ორბელიანი».

კარგი იქნება შევიტყოთ, სად არის დღეს ეს ფული.

≈≈ ახალ-ციხიდამა გვწერენ: „სახადი მხოლოდ ერთს სოფელს ღელოვანში-ღაა. ყვავილი სამ სოფელში იყო, მაგრამ ეხლა თითქმის ყველგან განელდა.,,

≈≈ ხუთშაბათს, 12 აპრილს, დანიშნული კონცერტი არწრუნის თეატრში ვერ შესდგა და კვირისათვის გადიდვა, რადგან ბევრნი აფიშაზედ გამოცხადებულნი პირნი თეატრში არ გამოცხადდნენ და ზოგნი თბილისშიაც არ იყვნენ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ხალხი ბლომად მოვიდა თეატრში, სკამებზედაც დალაგდა და მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ «მოულოდნელის შემთხვევისაგამო, კონცერტი გადაიდებაო».

როდის შევიგნებთ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ მიცემულს სიტყვას შესრულება უნდა?....

≈≈ ამას წინად გაზ. «რუსკი კურიერიდგან» მოვიყვანეთ ცნობა, რომ კავკასიის მთავარ-მმართებელი შუამდგომლობს მმართებლობის წინაშე ბათუმის პორტო-ფრანკოს გადიდებასო; ეხლა იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ მთავრობას შეუწყნარებია მთავარ-მმართებლის შუამდგომლობა იმ პირობით, რომ ქ. ბათუმმა იკისროს ყველა ხარჯები, რაც პორტო-ფრანკოს ახალი სამზღვრის გაყვანას დასჭირდება, რადგანაც ეს საქმე ყველაზე მომეტებულს მატერიალურ სარგებლობას ბათუმს მოუტანს. ამის გამო, გაზეთის სიტყვით, ბათუმის პორტო-ფრანკოს სამზღვრის გაწევა დამოკიდებულია სრულიად ადგილობრივი ქალაქის თვით-მმართველობაზედ.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელს №-ში, მეორე გვერდზე, ზემოდამ 29 სტრიქონში სწერია: ყველამ სრული ეპიდემიური ხასიათი მიიღო,—უნდა იყოს: ყვავილმა ეპიდემიური ხასიათი მიიღო.

## «დროების» კორესპონდენცია.

სოფ. შანშიანი. (კახეთი) 2 აპრილს. ძლივს მოგვშორდა ხანგრძლივი, სუსხიანი და მოსაწყენი ზამთარი. დაგვიდგა გაზაფხული, მოისპო ზამთრის სიჩუმე; შეიქნა ბუნებაში ხმაურობა, მოძრაობა: აქ ფრინველები ათასნაირად ჭიკჭიკობენ, იქ ოთხფეხი საქონელი თავისუფლად დასტის საძოვარზე; კაცს რაღა გააჩერებს სახლში? ზოგი, ბარი მხარზედ გადებული, ვენახში მიდის საბარავად, ზოგი, წალდი წელში გარჭმული, მიეშურება ტყეში ჭიგოს მოსაჭრელად. უმზერ ამ კახეთის ბუნების კალმით აუწერელ სიმშვენიერეს და გაგონდება ჩვენი პოეტის ლექსი:

«აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო-საყვარელო...

მართლა და არა ერთი, კახეთის შვენების მნახველი, ჰკითხავს თავის თავს: განა თუ დრო არ არის იფიქრონ სულიერ საზრდოზედაც? კახეთი ბუნებით ძლიერ მდიდარია, ხალხი კი თავის უმეცრებისა გამო ღატაკია და არ შეუძლიან მოიხმაროს ის სიმდიდრე, რომელიც ღმერთს მიუცია მისთვის. კახელებისთვის საჭიროა სწავლა, რომლის შემწეობითაც შეეძლებათ თავიანთ ბუნების სიმდიდრის მოხმარება. სწავლა - განათლება, რომელიც ასე ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზე, კახელებმა უნდა მოიახლოვონ და გაიგონ მისი გემოვნება. უნდა გამართონ ბევრი სკოლები, ისწავლონ მიწის კარგად შემუშავება, ღვინის კარგად დაყენება, ვაჭრობასაც უნდა მიჰყონ ხელი. ზოგი მაშინ უყურეთ ჩვენს კახეთს, როდესაც ეს ყოველივე ეღირსება!... მერე კიდე რკინის გზაც თუ გაიყვანეს ჩვენში?! ჰეი ბეჩა! ღმერთმანი, არ მოუხდება ალაზნის ველს ორთქლით მატარებლის გუგუნ-გუგუნით სიარული! ბევრს არაფრად ეპიტნავება რკინის გზის გაყვანა ჩვენში, რადგან იმისგან მოელიან დიდ ზარალს და ჩვენი კახეთის სიმდიდრის დაცარიელებას, მაგრამ რკინის გზის მომხრენი შემდეგის მოსაზრებით ამტყუნებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს: «რას ამბობ, კაცო, აგერ გაზეთებში სწერენ, მალე ღვინის კეთების სკოლები უნდა დაარსდეს ჩვენშიო; ღვინის კარგათ კეთებას რომ ვისწავლი, ღვინოსაც კარგს დავაყენებ და რიგიან ფასსადაც გავყიდი; იმ ფასად კი აღარა ახლა რომ პოლოსა სირაჯებს მიაქვთ, რომელნიც სოფლად დაიარებიან და ნახევარ ფასად ჰყიდულობენ. რკინის

---

რიის მონასტრიდგან არ გაგვრეკონო.

მაგრამ 1834 წელს ეს შესანიშნავი ბერი ბენედიქტეც გარდაიცვალა. მაშინ ბერძნის ბერებმა დაივიწყეს ქრისტე ღმერთის მცნებისა-მებრ ძმობრიივი სიყვარული და არამც თუ ქართველ ბერებს ივერიის მონასტერში აღარ აცხოვრებდენ და არსად წირვა-ლოცვის ნებას არ აძლევდენ, არამედ აღუკრძალეს ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაუჯდომელის წაკითხვაც კი; აღარ აძლევდენ აღარც ცხოვრების საზრდოს მონასტრის შემოსავლიდგან, აღარც სენაკს მუნ მოღვაწეობისათვის. ბენედიქტეს სიკვდილის შემდეგ, ბერძენთ მოახდინეს კრება, გარდასწყვიტეს და გამოაცხადეს, რომ ამიერიდგან ქართველ ბერებს აღარა ჰქონდეთ უფლება ივერიის მონასტერში შემოსვლისა და ცხოვრებისა, რადგან ათონის მთაზე იმათ საკუთრება არა აქვთო; ხოლო იმ ოთხს ბერს კი, რომელნიც იყვნენ ბენედიქტეს მოწაფენი და სცხოვრობდენ ილია წინასწარმეტყველის სენაკებში, მიეცეთ საზრდო ცხოვრებისა მონასტრის შემოსავლიდგან, ვიდრე ცოცხალ არიანო. ამ გვარმა უკანონო და უსამართლო გარდაწყვეტილებამ ქართველი ბერები ძალიან შეაწუხა და უკიდურეს მდგომარეობაში ჩაჰყარა; მაგრამ ეს ამბავი საქართველოში არავინ იცოდა, ვიდრე ის არ გამოაშკარავა სამეგრელოს აზნაურმა, სქემით შემოსილმა ბერმა ბენედიქტემ, გვარად ბარკალაიამ,—და აი რა მიზეზით:

1866 წელს ბენედიქტე (ვახტა) ბარკალაიამ დასტოვა თავისი სამშობლო და მივიდა ათონის მთაზე ერთის მეგრელით ბერობის შესამოსად და იქ სალვაწოდ. მაგრამ მისვლის უმალვე შეიტყო, რომ ათონის ივერიის მონასტერი ბერძნის ბერებს დაუსაკუთრებიათ. რადგან გულითად ეწადა ბერობა, დაუყოვნებლივ მიმართა მონასტრის მმართველებს—ბერძნებს და სთხოვა გულს-მოდგინედ მიეღოთ იგი თავის ამხანაგითურთ ივერიის მონასტერში; მაგრამ ბერძნის ბერებმა უარი უთხრეს. გამოიკითხა ამის მიზეზი და შეიტყო ქართველთა და ბერძენთა ბერთაგან ის განჩინება, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. მაშინ ბარკალაია მწუხარებით დაბრუნდა საქართველოს ათონის მთაზე მყოფ რუსის მონასტრის წინამძღვარის იერონიმეს რჩევით და შესჩივლა იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს, სამეგრელოს ეპისკოპოზს ტარასის და კიდევ გურიის ეპისკოპოზს გაბრიელს, რომ ბერძნის ბერებმა მორჩილად არ მიმიღეს ათონის ივერიის მონასტერში, რადგან გადუწყვეტიათ ამის შემდეგ ქართველები აღარ მიიღონ მონასტერში, აღარ მისცენ მათ არც სადგური და აღარც ცხოვრების საზრდოო. ამ საჩივარს მღვდელ-მთავართ მიაქციეს ყურადღება, მოილაპარაკეს ურთიერთ შორის და გარდასწყვიტეს: მოიპოვონ რაიმე ღონის-ძიება ათონის მთაზე ქართველ ბერების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ განზრახვით იმათ მისცეს ბენედიქტე ბარკალაიას შემდეგი გრამატა: «ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერთ და ბეჭდებისა ჩვენისა დამსხმელთ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, ეპისკოპოსმა სამეგრელოისამ ტარასიმ და ეპისკოპოსმა გურიისამ გაბრიელმა განვიზრახეთ და განვაჩინეთ შემდეგი: განვაახლოთ ათონის მთაზე უდაბნო წმინდისა მოციქულისა იოანე ღვთისმეტყველისა, ივერიის ლავრის მახლობლად, რომ ყოველი ქართველი, რომელიც კი აქ მოვა ან ბერობის მოღვაწეობისთვის, ან წმინდა ადგილების სალოცავად,—ყველანი აქ ჰპოვებდენ: ბერნი მყუდროსა და მშვიდობიანს საცხოვრებელს ადგილსა, მხოლოდ მლოცავნი დროებითსა და მხიარულსა სტუმრობასა და შეწევნას.

ეს ჩვენი განზრახვა და გარდაწყვეტილება მივანდეთ აღასრულოს ბერმა ბენედიქტემ და თანაშემწედ მივეცით იმას მორჩილი ივანე ხოშტარია, რომ ჩვენის ეპარხიის ქალაქებში და სოფლებში მოკრიფონ შესაწირავნი, ვინც თავის ნებით ისურვებს შეწირვას და განაახლონ და გაადიდონ იოანე ღვთის-მეტყველის ეკლესია, იყიდონ მამულები და მიწები სენაკების ასაშენებლად, მიიღებდენ და განუსვენებდენ ყველას, ვინც მოვა ათონის მთაზე ჩვენთა მემამულეთაგანი.

თანაშემწედ თქვენსა საქმესა ამას შინა იყვეს საყვარელი მოწაფე იესო ქრისტესი — იოანე ღვთის - მეტყველი. — ამინ».

ამ გრამატის ძალით ბენედიქტემ მოაგროვა საქართველოში 40000 მანეთზე მომეტებული ფული და 1879 წელს წავიდა ათონის მთაზე. თან წაიყვანა 12 კაცი, რომელნიც წინადაც ყოფილიყვნენ ათონის მთაზე, მაგრამ ბერძნის ბერებს ივერიის მონასტერში არ დაეყენებინათ. მოსვლისათანავე იმან სთხოვა ივერიის მონასტრის გამგებელ ბერძნებს, თუ არ აჩუქებდენ, მიეყიდნათ მაინც არის იოანე ღვთის-მეტყველის უდაბნო თავის სენაკებით, რომელიც სრულიად აოხრებული იყო და ამისათვის იქ არც არავინ-ღა სცხოვრებდა, არც საჭირო-ღა იყო მათთვის. ბერძნებს არ

გზა რომ იქნება, ჩემს ღვინოებს სულ იმით ჩავზიდავ ქალაქში და ერთი ორად გავყიდი. ღმერთმანი, გზაში ურემსავით დაანჯღრევს და გააფუჭებს ღვინოსა!»

მართლაც და ღვინის კეთების სკოლები კახელებისათვის სწორედ მისწრება იქნება. აქამდის ჩვენი გლეხები ვერ აკეთებდენ კარგად ვენახებს, ვერ აყენებდენ კარგ ღვინოს უცოდინარობისა გამო და თუგინდ გაეყიდნათ, ვერ ღებულობდენ რიგიან ფასს; შემდეგში მაინც შეიძლება ღვინის კეთების სკოლების შემწეობით ჩვენმა გლეხებმა შეისწავლონ ვენახების კარგად კეთება; ღვინოც კარგი დააყენონ და გაყიდული ღვინოდამაც რიგიანი ფასი აიღონ. ღვინის კეთების სკოლებთან, რასაკვირველია, აუცილებლად საჭიროა სოფლის სკოლებიც. კახეთი ჯერ-ჯერობით მატერიალურად ისე არ არის დაცემული, რომ არ შეეძლოს სასოფლო სკოლების დამართვა და მითი სარგებლობა, მაგრამ სად არის სწავლის სურვილი? ჩვენი გლეხი უფრო სიხარულით გაჰგზავნის თავის შვილს მროხაში, ვიდრე სკოლაში. ამის მიზეზი ბევრია: სხვათა შორის ისიც, რომ არავინ უხსნის სწავლის მნიშვნელობას, არავინ კუბნება, თუ რა სარგებლობას მოუტანს სწავლა მათ შვილებს.. კიდევ კარგი, თუ ეყოლა სოფელს კარგი მ. მ—ლი ანუ კეთილის მოსურნე გარეშე პირი. მაგრამ სად არიან ამისთანა მ... ანუ გარეშე პირნი, რომელთაც გული შესტკივათ ხალხის ბედნიერებისათვის, მათი სწავლა-განათლებისათვის? თუ მ—ლებს იტყვით, ბევრი მათგანი ისე შეწუხებულნი არიან მატერიალური მხრით, როგორც თითონაც ჩივიან რომ ხალხის სკოლა კი არა, თავის თავისათვისაც ვერ უშველიათ. ზოგი მათგანი კოდი-პურზე ჩივის: «ეს სამი წელიწადია, რაც ახალი განკარგულება მოუვიდათ მთავრობიდგან გლეხებს, რომ თვითონ მოგვიტანონ კოდი პური სახლში და ამ განკარგულების შემდეგ სრულად ვეღარ ავიღეთ კოდი პურიო. უწინ, სამი წლის წინად, როცა ჩვენ თითონ დავიარებოდით კარი-კარ ხურჯინ გადაკიდებული ცხენებით, ძლივს, კაი-ვაგლახით, ვართმევდით გლეხებს კოდი პურს და ახლა თავის თავად რად მოგვიტანენო. თუმცა კიდეც ვიჩივლეთ, ვისთანაც ჯერ არს, მაგრამ ჯერ არავითარი შემწეობა არ საიდამ არ გვიჩნდებაო». მოდით და ვისაც ამოდენა საზრუნავი აწევთ კისერზე და მუდამ კოდი-პურზე ჰფიქრობენ, სასოფლო სკოლებზედაც აფიქრებინეთ....

თომა კახელი.

## უცხოეთი

— გაზეთებში ჯერ არაფერია იმაზედ, თუ როგორ იდღესასწაულეს ფრანცუზებმა გამბეტას ძეგლის დადგმა კაგორში; ჯერ-ჯერობით მარტო ის არის მათში მოყვანილი, რომ კაგორში ამ დღესასწაულზე მიმავალ მინისტრებს გზაში დახვედრიან ზოგიერთა მაზრების მადნის-მთხრელი მუშები და ოვაციებით მიჰგებებიან მათ, მაგრამ ეს ოვაციები საოცარი თვისებისანი ყოფილან: მუშები დინამიტის პატრონებს თურმე უფეთქებდენ მათ. ფერის, კაგორში მისვლისათანავე, მიუღია ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელნი. მერის შემდეგ ადგილობრივი ეპისკოპოზიც მისულა მასთან თავის ეპარქიის სამღვდელოებით. ეპისკოპოზს, სხვათა შორის, უთქვამს რესპუბლიკის მინისტრ-პრეზიდენტისთვის, რომ ისაც და მისადმი რწმუნებული სამღვდელოებაც ერთგულნი არიან რესპუბლიკისა. ფერიმ მადლობა თურმე გადაუხადა ეპისკოპოზს და უთხრა, რომ იმას «ჰსურს დაიცვას კონკორდატი, რაიცა მტკიცედ აკავშირებს ეკლესიას სახელმწიფოსთანაო.» ბრისონი და ფრეისინე კი არ ყოფილან ამ დღესასწაულზედ.

— როგორც ინგლისურს გაზეთებს ატყობინებენ კალკუტიდგან, ავგანისტანის მაზრებში და ზემო ინდოეთში ამ ჟამად სალაპარაკოდ მარტო რუსეთის მიერ მერვის დაპყრობა-ღა აქვთ. მერვას რუსეთთან შეერთებას რომ ინგლისლები ძლიერ შეუწუხებია, გაზეთების სიტყვით, ეს, სხვათა შორის, იქიდგანაცა სჩანს, რომ ინგლისლები ძალიან თურმე აშურებენ ქვეთში რკინის გზის გაყვანას. ამას გარდა, ინგლისლები სხვა სამზადისსაც შესდგომიან: მაგალითად, ხმებია, ვითომც იჯარით გაეცეთ პურის ხორბლის და ცხენის საკვების მიტანა ზოგიერთა ბოლანის გასავლის ადგილებში. ამასთანავე ამბობენ, ვითომც მოლაპარაკება ჰქონდეთ ემირთან იმაზედ, რომ ყანდარი ინგლისის ჯარებმა დაიჭირონ. კორესპონდენტების სიტყვით, მთლად ინდოეთის იმპერიის ადმინისტრაცია ნაკლებ თურმე არ არის შეშფოთებული მერვის რუსეთთან შეერთებითა. იქაური ჟურნალ-გაზეთებიც გაცხარებულნი ლაპარაკობენ, რომ საჭიროა რუსეთის ინდოეთისკენ მოძრაობის წინააღმდეგ სასტიკი რამ ზომები იხმაროს მმართებლობამაო. გაზეთები აჩქარებენ მმართებლობას, რათა შეადგინოს კომისია და, რაც შეიძლება, მალე განსაზღვროს ავგანისტანის ჩრდილოეთის და დასავლეთის ნაწილები.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

**11 აპრილს.**

**კაირი.** ინგლისისა და ეგვიპტეს შუა მოლაპარაკებაა იმის შესახებ, რომ ბერბერში ორი ეგვიპტის ბატალიონი გაიგზავნოს.

ბრიტანიის დიპლომატიურს სააგენტოში შეიკრიბნენ ინგლისის წარმომადგენელნი: ეგერტონი, გენერალი ვუდი და ნუბარ-ფაშა და გადასწყვიტეს ურჩიონ ინგლისის მმართებლობას შეადგინოს ინგლისის და ეგვიპტის ჯარებისგან ექსპედიცია ბერბერის განსათავისუფლებლად.

**შანხაი.** მეფის მოადგილე უნანი უეცრად მოკვდა. ჰფიქრობენ, რომ იმან თავი თვითონ მოიკლა.

**ბერლინი.** ხელის-მოწერა რუსეთის ახალ სესხზე მიიღება ბერლინში ბლეიხრედერთან და პრუ-

უნდოდათ გაყიდვა, მაგრამ მხნე ბენედიქტე არ მოეშვა და ბოლოს უნდომლად მიჰყიდეს დანგრეული ეკლესია ერთის ნაჭერის მიწით 3000 მანეთად. ამის შემდეგ, იგი დაეკითხა ბერძნებს: მომცემთ თუ არა ეკლესიის ასაშენებლად ხე-ტყესა და მასალას ივერიის მონასტრის ქონებიდგანაო? იმათ უპასუხეს, რომ მონასტერი ყველა საჭირო მასალას, რაც შეიძლება, იაფ ფასად მოგვყიდისო. მაშინ ბენედიქტემ ჯერ იშოვა ოსტატები, მერმე წარუდგინა მონასტრის მმართველთ გეგმი (პლანი). იმათ მოიწონეს გეგმი და გამოგზავნეს მონასტრიდგან მღვდელ-მონაზონი შენობის დასაწყობად.

მაგრამ, როცა ბენედიქტე კალატოზებს და მუშებს გაურიგდა ფასს და დაუწერა პირობის ქაღალდი, მაშინ ივერიის მონასტრის გამგებლებმა უარ-ჰყვეს თავიანთი დაპირება და გამოუცხადეს ბენედიქტეს, რომ ისინი ვერც ხე-ტყეს მიჰყიდიან ქართველთ, ვერც სხვა მასალას, და არც ნებას აძლევენ კირისა და აგურის დაწვისას ივერიის მონასტრის მიწაში, თუმცა კი ამავე დროს ისინი სოფლის ხალხს ძალიან იაფ ფასად აძლევდენ ხე-ტყეს და იმათ გემებით გაჰქონდათ ათონის მთიდგან.

ამ გვარს გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბენედიქტემ მიჰმართა ისევ ათონის მთაზე მყოფ რუსის მონასტრის წმ. პანტელეიმონის წინამძღვარს იერონიმეს და სთხოვა შემწეობა და რჩევა. იმან მაშინვე თურმე დაიბარა თავის მონასტრის ეკონომი და უბრძანა—რაც კი შეიძლებოდეს, ეყიდნა მასალა. ეკონომმა აღასრულა ბძანება თავის უფროსისა: ხე-ტყე იყიდა ხილენდარის მონასტრის ტყეში, რომელიც 30 ვერსის სიშორეზედ არის. მაგრამ ბერძნებმა აქაც დაბრკოლება მისცეს. გაიგეს თუ არა, ქართველებმა შენობა დაიწყესო, მაშინვე გამოსცეს ბძანება, რომ დაეშალათ ბერებს მასალის გამოტარება ივერიის მონასტრის მიწაზე. ამისა გამო, 5 ვერსით კიდევ გაშორდა გზა; გაძნელდა მასალის მოტანა ვირებითა და ჯორებით, მაგრამ ეს დაბრკოლებაც დასძლიეს ქართველმა ბერებმა და ეკლესიის აშენება დაიწყეს. ამაზე ბერძნის ბერები უფრო განრისხდენ და დაუწყეს კალატოზებს შეგულიანება,—მუშაობაზე ხელი აეღოთ; ამისათვის ოსტატნი ხალისიანად არ მუშაობდენ და შრომის ფასად გაკვეთილზე მეტს თხოულობდენ იმ მიზეზით, ვითომც ეკლესია გეგმზე უფრო დიდი ყოფილ-იყოს დაწყებული. ამ გვარის წვალებით, როგორც იყო, ეკლესია მაინც ააშენეს და გუმბათი ნახევრად რომ მოადგეს, ივერიის მონასტრის ბერძნებმა მოგზავნეს თავიანთი მუშები, რომელთაც მასალა მიაპნ-მოაპნიეს, რის გამო 400 მანეთის ზარალი მოუვიდათ ბერებს და ეკლესია დღესაც არ არის დასრულებული. გარდა ამისა, ბერძნებმა ზარის დარეკის ნება არ მისცეს ქართველებს, ვიდრე არ დაადეს მათ მონასტერს 60 მანათი ხარჯი წელიწადში. მაგრამ ბერძნებმა არც ეს იკმარეს. ათონის მთაზე აქა-იქ მოფანტულნი ქართველნი ბერნი რომ შეიყარნენ ერთად ახალს მონასტერში, ბერძნებმა გამოუცხადეს ბენედიქტეს—არამცა და არამც ქართველთაგან 3 ანუ 4 კაცზე მეტი არ იყოლიო მონასტერში, ხოლო რუსთაგანი კი არც ერთიო. მაგრამ ბენედიქტემ ყური არ უგდო იმათს ბძანებას და ამ ჟამად ახალს უდაბნოში არის 50 ბერამდე—ყველანი ქართველნი.

ასე და ამ სახით ბენედიქტე ბერმა დასძლია ყველა დაბრკოლებათა ბერძენთ ბერთაგან ქართველთათვის დაგებულთა და აღაგო ახალი მონასტერი იოანე ღვთის-მეტყველის სახელზე. ახლა ისა სჩივის და სთხოვს რუსეთის მთავრობას დაუბრუნონ ბერძნის ბერებმა ქართველ ბერებს როგორც ივერიის მონასტერი—ლავრა, აგრეთვე ის მამულებიცა, რომელნიც მას ჰქონია საქართველოში და უცხო ქვეყნებში, რადგანაც ისინი შეადგენენ მათ მამა-პაპის საკუთრებას, და მათის შრომით და საკუთარის ფულით შეძენილნი ყოფილან. «ქართველები რომ სილარიბეში ვართ და ლუკმა პური გვენატრება ათონის მთაზეო, ბერძნები რად უნდა სარგებლობდენ ჩვენის მონასტრის «ივერიის ღვთისმშობლის» მამულების შემოსავლითაო», ამბობს ბენედიქტე ბერი არზაში. მისი საჩივრის სიმართლე ჩვენმა მთავრობამ უკვე მიიღო სახეში და აწ მეცადინეობს დაუბრუნდეთ ქართველთ თავიანთი საკუთარი მონასტრები და მამულები. და რადგან ამ ჟამად ქართველები ძალიან ღარიბად არიან და ვალები დასდებიათ მონასტრის აშენებაზე, ვიდრე საქმე გადასწყდებოდეს, იმპერატორს უჩუქებია მათთვის ერთხელად 15 ათასი მანეთი მონასტრის გასამშვენიერებლად. აგრეთვე უნებებიათ მონასტრისათვის 3000 მანეთის დანიშვნა ყოველ წლობით. საჩივარი კი ჯერ კიდევ არ დაბოლოვებულა. ვნახოთ ბოლო რა იქნება?

მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი.

1883 წელს, დეკემბრის 29.

სიის ზღვის ვაჭრობის საზოგადოებაში, ამსტერდამში ლიპმან-როზენტალთან და კომპ.

**პარიჟი.** ერთი პრუსიელი და ერთიც ავსტრიელი განდევნეს საფრანგეთიდგან, რადგანაც მათ მონაწილეობა მიიღეს რევოლიუციონერს მიტინგზე, რომელიც კვირას მოხდა.

**კაირი.** ეგვიპტის სამინისტროს პრეზიდენტმა, ნუბარ-ფაშამ, გარდასწყვიტა სამსახურიდგან გამოსვლა, თუ ბერბერს მალე არ მიეშველებიან.

**ლონდონი.** აქაურს გაზეთებს ატყობინებენ ეგვიპტიდგან, რომ ბერბერის გუბერნატორს შესაძლებლად მიაჩნია დიდხანს შეიმაგროს აჯანყებულები, თუ ჯარს მალე მოაშველებენ. «დაილი ტელეგრაფს» მოსვლია ამბავი, ვითომც აჯანყებულებს ბერბერი უკვე ხელთ.

12 აპრილს.

**პეტერბურგი.** ორშაბათს, ანიჩკის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა აღდგომა მიულოცა კავალერგარდის და კირასირის პოლკების და სხვა ოფიცრებს, აგრეთვე ფერშლებს და ვახმისტრებს იმ ნაწილებისას, რომელთა შეფებად მათი იმპერატორებითი დიდებულები არიან, და დაბალ ჩინთაც, რომელნიც ყარაულად იყვნენ საზამთრო სასახლეში. ამ დროს ოფიცრებმა კავალერგრადის და კირასირის პოლკებისამ, რომელთა შეფად დედოფალი იმყოფება, მიართვეს უავგვისტოესს შეფს თითო თაიგული, რომელნიც ვარდებისგან იყვნენ გაკეთებულნი აღდგომის კვერცხის მსგავსად, უველამ ხელზედ აკოცა დედოფალს და თითო კვერცხი მიიღეს მისგან. იმავე დღეს ხელმწიფემ მიულოცა დღესასწაული მამასახლისთა და სხვა წევრთა პეტერბურგის გუბერნიის საგლეხო გამგეობისათა.

**ბერლინი.** გერმანიის ელჩი წინაშე რუსეთისა შვეინიცი გუშინ პეტერბურგში წამოვიდა, — წამოსვლის წინად ბისმარკი; დიდ-ხანს ესაუბრა მას.

**ბერლინი.** ხელის-მოწერა რუსეთის ახალს სესხზე დანიშნულია აქ 17 აპრილს.

**სოფია.** მთავარი ალექსანდრე პონში წავიდა ავსტრიის მემკვიდრე პრინცის და პრინცესას მისაგებებლად.

**შანხაი.** ხმებია, ვითომც გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფს პრინცს კუნგს თავი მოეკლას, მაგრამ ამის შესახებ ჯერ ნამდვილი ცნობა არ არის.

**კონსტანტინოპოლე.** დადგენილია კარანტინი იმ გემებისთვის, რომელნიც სუეზის არხზე გამოივლიან და შავ დედა-მიწის ზღვის პორტებში შემოვლენ.

**კაირი.** ეგვიპტის მინისტრთა რჩევამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გაგზავნოს სუდანში ჯარები და ინგლისის მმართებლობას შეატყობინოს ეს ამბავი.

**პარიჟი.** ხმებია, რომ ინგლისმა გაუგზავნა ცირკულიარი იმ სახელმწიფოთ, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ტრაქტადზე; ცირკულიარი შეეხება ეგვიპტეს და, სხვათა შორის, ნათქვამია მასში რომ ეგვიპტესთვის საჭიროა 200 მილიონის სესხი მაგრამ ნაჩვენები კი არ არის, რა საშუალებით უნდა განხორციელებულ იქმნას ეს ფინანსიური ოპერაცია; ის კია მხოლოდ მოხსენებული, რომ ეგვიპტის ჯარის გაუქმებას შეუძლიან ბევრი ფული გადაანარჩუნოს.

13 აპრილს.

**პარიჟი.** ინგლისის ნოტა შესახებ კონფერენციას ეგვიპტის საქმეებზედ აქ სამშაბათს მიიღებს; კონფერენცია უნდა მოხდეს ან ლონდონში, ან კონსტანტინოპოლში. ეგვიპტის სახელმწიფო ვალის გადახდა უნდა შეჩერდეს, ან მოისპოს იმ ფინანსიური წერილის აზრით, რომელიც ნოტასთან ერთად არის გამოგზავნილი.

**ლონდონი.** გლადსტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ბერბერი მართლა საშიშროებაშია, მაგრამ გორდონს არა უჭირს-რა. მთავრობა გრძნობს, რა მოვალეობაც აწევს გორდონის შესახებ და როცა საჭირო იქნება, ამ მოვალეობას შეასრულებს.

ფინანსთა მინისტრმა შეიტანა პალატაში წარსულის წლის ფინანსების მიმოხილვა: შემოსავალი აღემატება გასავალს 200.000 გირვ. სტერლინგით. სახელმწიფო ვალს 8 მილიონი მოაკლდა. მინისტრი იმ აზრისაა, რომ სახელმწიფო ვალის პროცენტები შეამციროს.

# ბალანსი

## ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა

### 1 იანვარს 1884 წელსა.

**აქტივი.**

| | | | |
|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული. | | 7,260 | 56 |
| სარგებლიანი ქაღალდები. | 90,700— | | |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში | 102,834—89 | | |
| ბ) თბილისის საკომმერციო ბანკში. | 5,141—23 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში. | 13,802—29 | 121,778 | 41 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | | 30 | ,, |
| სარგებლიანი ქაღალდები: | | | |
| ა) სახელმწიფო ქაღალდები, შენახული სახელმწიფო ბანკში. | (302,000)— | 278,147 | 91 |
| მათი სარგებელი 1 იანვრამდე 1884 წლისა. | | 2,308 | 32 |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები. | (57,600)— | 52,057 | 89 |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე, 43$^1/_2$ წლით. | 951,700— | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე, 18$^7/_{12}$ — | 2,720,900— | 3,672,600 | ,, |
| „ მოკლე ვადიანნი. | | 89,495 | ,, |
| გირავოს ფურცელნი, საკომმისიოდ მობარებულნი. | (182,600)— | 146,080 | ,, |
| მოვალენი: ა) გარდასახადი ფული, რომელსაც აქვს ლგოტა | | 178,153 | ,, |
| ბ) ,, ,, ვადას გადაცილებულნი | | 67,996 | 44 |
| გირავოს ფურცელნი, ვალის მოსასპობლად წარმოდგენილნი | | 2,700 | ,, |
| სხვა და სხვა დებიტორები | | 2,852 | ,, |
| ხარჯები: ა) დასაბრუნებელნი. | | 29,215 | 38 |
| ბ) ჩმოწყობ-მორთულობაზე | | 1,833 | 03 |
| | | 4,652,507 | 94 |
| შენიშვნა: გირავოს ფურცელნი, შესანახავად მობარებულნი. | 30,600— | | |

**პასსივი.**

| | | | |
|---|---|---|---|
| მირეული თავნი | | 491,280 | 16 |
| სათადარიგო თანხა | | 29,551 | 46 |
| თანხა: ა) საზოგადო საჭიროებათა | | 21,368 | 65 |
| ბ) სტიპენდიებისა | | 8,468 | 91 |
| გირავოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი: | | | |
| ა) 43$^1/_2$ წლიანნი | 951,700— | | |
| ბ) 18$^7/_{12}$ — ,, | 2,720,900— | 3,672,600 | ,, |
| თანხა, სესხთა მოსასპობი: | | | |
| ა) 43$^1/_2$ წლიანთა | 3,089 მ. 10 კ. | | |
| ბ) 18$^7/_{12}$ ,, | 54,514—33 | 57,603 | 43 |
| ,, სარგებლის: | | | |
| ა) 43$^1/_2$ წლიანთა | 28,544—34 | | |
| ბ) 18$^7/_{12}$ ,, | 81,145—79 | 109,690 | 13 |
| ყოველ-წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვ. | | 20,005 | 50 |
| საზღვეველნი, მაგრამ ჯერ წარმოუდგენელნი დასასხურდავებლად: | | | |
| ა) გირავოს ფურცლების კუპონები | | 109,593 | ,, |
| ბ) გირავოს ფურცელნი, ტირაჟებში გამოსულნი | | 61,400 | ,, |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი გირავოს ფურცლებით | | 2,700 | ,, |
| ,, ,, ,, ნაღდი ფულით | | 193 | 74 |
| სარგებელი მოკლე-ვადიანთა სესხთა | | 110 | 10 |
| გადასაცემი ფული | | 1,472 | 54 |
| ერთ-დროებითი შემოსატანი ფული | | 1,512 | 50 |
| სხვა და სხვა კრედიტორები | | 9,219 | 74 |
| ბანკის კორრესპონდენტები | | 2,391 | 31 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი | | 3,177 | 89 |
| წმინდა მოგება | | 50,168 | 88 |
| სულ | | 4,652,507 | 94 |

*Дозв. ценз. Тифлисъ, 13 Апреля 1884 г.* (ქ. ხელაძის სტამბა) *Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.